



ქ. თბილისი

„5“ ივნისი 2015 წელი

ბრძანება № 01-25

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების შესახებ**

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, საქართველოს განათლების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N119/ნ-ის 24-ე მუხლის 1 და 2 პუნქტების, სსიპ -საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე -17 მუხლის, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2015 წლის 4 ივნისის საბჭოს სხდომის ოქმი N2 -ის საფუძველზე,

გბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად და განცხადება განთავსდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2015 წლის 5 ივნისს.

**2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 10 ივლისს.**

3. კანდიდატთა რეგისტრაცია განისაზღვროს 2015 წლის 8 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით.

4. საბუთების მიღება განხორციელდეს ყოველდღე გარდა კვირისა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიაში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება;
- ბ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
- გ) პირადობის მოწმობის ასლი;
- დ) ავტობიოგრაფია (CV);
- ე) ორი ფოტოსურათი (3×4);

რექტორის მ/შ,  
პროფესორი



ჯემალ მაგანია

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040  
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040

www.sportuni.ge